სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი

- ზრუნავს სკოლაში მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;მხარს უჭერს ყველა მოსწავლის პოტენციალის რეალიზებას; სწავლის ხარისხის მართვას;

- ზრუნავს სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი ,პროდუქტიული და მიზანზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად.

- ზრუნავს მოსწავლეებში კონსტრუქციული და პატივსცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის.

სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებები:

- სკოლაში სასკოლო საზოგადოებას დირექტორის ხელმძღვანელობით გაცნობიერებული აქვს მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მნიშვნელობა და იცის, როგორ შექმნას გარანტიები მათ უზრუნველსაყოფად.

  ა) სკოლის დირექტორის ძალისხმევით, შიდა რეგულაციებით, დაცულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები და გარანტიები;

ბ)უზრუნველყოფილია მოსწავლის უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობა და გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში.

- **სკოლაში სასკოლო საზოგადოებას დირექტორის ხელმძღვანელობით გაცნობიერებული აქვს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მნიშვნელობა და იცის, როგორ უზრუნველყოს ამ პროცესის ხელშემწყობი სისტემის ჩამოყალიბება.**

ა) სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის დაძლევის გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმი;

ბ) უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმის დაცვა;

გ)სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების (ასეთის არსებობის შეთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მხრიდან მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა;

დ) უზრუნველყოფილია დირექტორის მიერ პროგრამების, სერვისების, რესურსების, აქტივობების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, განახლება და არადისკრიმინაციულობა;

ე) სკოლის დაწყების მომენტიდან, მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა.

- **სკოლაში სასკოლო საზოგადოებას დირექტორის ხელმძღვანელობით გაცნობიერებული აქვს სკოლის, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული ინსტიტუტის, როლი და მნიშვნელობა და იცის როგორ შექმნას მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემა.**

ა)უზრუნველყოფილია მოსწავლის სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა შესაბამისი სერვისებით, აკადემიური და პიროვნული მიღწევების გასაუმჯობესებლად; გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევა, მათ შორის, მობილობასთან და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ბ)წახალისებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით, დამატებითი/არაფორმალური აქტივობები და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები;

გ)უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მომსახურების მუდმივი გაუმჯობესება, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე;

დ)საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილია სოციალური მუშაკების ჩართულობა.

- **სკოლაში სასკოლო საზოგადოებას დირექტორის ხელმძღვანელობით გაცნობიერებული აქვს მოსწავლის კარიერული დაგეგმვის პროცესი და იცის როგორ შექმნას პროფესიული ორიენტაციის მხარდამჭერი სისტემა:**

ა)კარიერული მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მოსწავლეთთვის; მოსწავლეთათვის/მისი კანონიერი წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდება, ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია კარიერული განვითარების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირი.

- **სკოლაში სასკოლო საზოგადოებას დირექტორის ხელმძღვანელობით გაცნობიერებული აქვს მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობა და იცის როგორ შექმნას ინკლუზიური გარემო, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.**

ა)სკოლა დემოკრატიულ და ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემოა, სადაც ჩამოყალიბებულია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო გარემოს მორგებას სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე; მის მხარდაჭერას შესაბამისი ადამიანური სასწავლო/განმავითარებელი რესურსებით, მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება-განხორციელება-მონიტორინგის უზრუნველყოფა. სსსმ მოსწავლის მიღწევები და განვითარება დაფუძნებულია სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობასა და ჩართულობაზე.

- სკოლაში სასკოლო საზოგადოებას დირექტორის ხელმძღვანელობით გაცნობიერებული აქვთ მოსწავლეებისთვის საჭიროებებზე მორგებული დამატებითი მომსახურების მნიშვნელობა და იცის, როგორ უზრუნველყოს მრავალფეროვანი სერვისების მიწოდება, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.